

ზმნურ ფორმათა დროულ-კილოური მნიშვნელოვნისათვის
ზოგიერთი ტიპის შესიტყვებებში

კილოს კატეგორიასთან დაკავშირებული სადავო თუ სხვა მხრივ საინტერესო საკითხების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია თხრობითი (ნეიტრალური) და არათხრობითი (არანეიტრალური) შინაარსების გამიჯვნასთან, უფრო ზუსტად, მათი ფორმობრივი გამოხატულების განსაზღვრასთან. აქ, უწინარეს ყოვლისა, არანეიტრალური კილოური შინაარსის გამომხატველი სტრუქტურის განსაზღვრა იგულისხმება, რამდენადაც თხრობითი, როგორც ნულოვანი, ნეიტრალური კატეგორია, ისე უპირისპირდება კილოურად მისგან განსხვავებულ ყველა სხვა ფორმას — არათხრობითს, არანეიტრალურს. სწორედ არანეიტრალური კილოს სემანტიკურ შესაძლებლობათა გამორჩეულად ფართო დიაპაზონი იწვევს მისი ფორმობრივი გამოხატულების სისტემის გართულებას.

ეს, როგორც ჩანს, ზოგადენობრივი მოვლენაა და სემანტიკურად მკვეთრად განსხვავებული კილოური სახეობები მორფოლოგიური გამოხატულების თავისებურებებით მრავალ ენაში ერთმანეთისაგან ხშირად არ განსხვავდებიან და ერთი და იგივე ზმნური ფორმა ერთ შემთხვევაში თხრობითი კილოს შინაარსს გადმოსცემს, სხვა შემთხვევაში — არათხრობითისას. გარკვეული ტიპის წინადადებებში კილოურ ფორმებს შეუძლიათ არსებითად შეიცვალონ მნიშვნელობა იმასთან შედარებით, რაც მათ აქვთ იზოლირებული ხმარებისას¹.

მოვლენის ამგვარ ინტერბრეტაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც ზოგადთეორიული, ასევე პრაქტიკულ-სტილისტიკურ საკითხთა ფართო წრე.

¹ И. Г. Милославский, Морфологические категории современного русского глагола, М., 1981, гл. 203. ამავე საკითხებთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე: О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958; В. В. Виноградов, Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1972; А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Л., 1967 და სხვ.

წინამდებარე სტატიის მიზანიც უფრო პრაქტიკული ხასიათისაა. იგი ითვალისწინებს ზმნის კილოური დეფინიციის ერთ კერძო შემთხვევას, როდესაც ზმნის კილოური შინაარსის „წაკითხვას“ ართულებს არა კილოურად განსხვავებულ ფორმათა მონაცვლეობა ერთსა და იმავე კონსტრუქციაში (როგორც ძირითადად ხდება ხოლმე), არამედ უფრო მისი სიმყარე ამ შესიტყვებაში.

საკითხი რომ უფრო გასაგები იყოს, ამთავითვე დავსახელებთ ამ შესიტყვებებს: ესაა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველი რთული წინადადებები (მიღის, რათა დასაჯოს; წავიდა, რათა დაესაჯა ტიბისა) და ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციები (გთხოვთ გამათავისუფლოთ; ცდილობდა გაეკეთებინა ტიბისა).

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს მხატვრული ლიტერატურიდან.

1. მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველი შესიტყვებები:

[ყურნალი] ... უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებას, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალს და გონებას ადევნოს, ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მისცეს... (ილია); ღრუბელი მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ მოტრფილეთ არ დაჰკარას მზემა; ქარი გუვუნებს, ჩვენი ფაჩუნს რომ არ შებღალდოს უხეშ სმენამ (ნ. ლორთქ.); შერე შე შინც აედექი და შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე... (ნ. დუმბ.); ისიც უნებურად გაშეშდა, ვაუთვალისწინებელი, ტლანქი მოძრაობით რამე რომ არ ეტკინა მისთვის (ო. ჭილა); თეიმურაზი თავისი ნებით დარჩა სამცხეში, რათა ოდესმე ღონე მოეკრიფა, ურუმის ჯარით იმერეთს დასცემოდა და... მხრებზე ბისონი წამოესხა (რ. ჯაფ.).

2. ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის შემცველი შესიტყვებები:

ჩვენ დღეს გვსურს ყურადღება მივაქციოთ სხვაგვარს თხზულებას ჩვენის რეპერტუარისას (ილია); მკითხველმა, რასაკვირველია, უკვე იცის, რომ ჩვენმა თავადაზნაურობამ საერთოდ განიზარაზა თავისის შვილების აღსაზრდელად ფული შეჰკარიბოს... (ილია); საჭიროდ მიმაჩნია ერთი მოსაზრება მოვიყვანო (მ. ამირეჯ.); შენ თვითონ არა სცდილობ საშუალება მომცე, უფრო გულწრფელად მოგელაპარაკო... შენ თვითონ არა გაჰქვს სურვილი თვალემა გაახილო, არ განდა წმინდა ჰაერით ისუნთქო (ნ. ლორთქ.); თითქოს ვერც კი შეამჩნია მამის ხმას და თვალეში უნებ-

2 ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციითა ზოგადი სტრუქტურა ნათელია, მაგრამ შესიტყვებაში მისი კონკრეტული ფუნქციონირება ხშირად ძალზე ბუნდოვანია, რაც შემორობებელია, ერთის მხრივ, ამ კონსტრუქციის შემადგენელ ზმნათა სემანტიკითა და გრამატიკულ-სტილისტიკური ფუნქციებით და, მეორეს მხრივ, კონკრეტულ შესიტყვებაში შემავალი წინადადების სხვა წევრებთან მათი განსხვავებული დამოკიდებულებით. ამის გამო ერთნაირი სტრუქტურულ-სემანტიკური შესაძლებლობის ზმნათა დაკავშირება ერთ წინადადებაში ე. წ. ინფინიტიურ კონ-

ლიეთ გაეღებულ სისუსტე, მასაც რომ ავალდებულებდა ჩამოეხსნა უღარდულობის ნიღაბი (ო. კილა); ჰაჯი-აჰმადი ცდილობდა ამაზე ცოტა ეფიქრა და მოელი დრო ნადირობასა, ნადიმებსა და სახელმწიფო საქმეების გარიგებაში დაეხარჯა (რ. ჯაფ).

ორივე კონსტრუქცია მრავალმხრივ არის საყურადღებო და თითოეული მათგანი საგანგებო განხილვას იმსახურებს³, მაგრამ დღეისათვის ჩვენ მხოლოდ შესიტყვებათა ზმნური ლერძის მეორე კომპონენტები გვიანტერესებს, უფრო ზუსტად, — მათი კილოური მნიშვნელობა.

განსახილველ შესიტყვებებში მონაწილე ზმნათა კილოური ინტერპრეტაცია, ჩვეულებრივ, ამგვარია: პირველი ზმნა თბრობითი კილოს გამომხატველია, მეორე კი — კავშირებითისა: გამოყენებულია II კავშირებითი და II თურმეობითი — კავშირებითის ფუნქციით. II თურმეობითის ხმარება კავშირებითის ფუნქციით იმდენად გავრცელებული მოვლენაა, რომ ამ კონსტრუქციაში მისი მონაწილეობა საგნებით ბუნებრივი ჩანს და თითქოს იმავეთვე გამოირცხავს საკითხის სხვაგვარად ახსნის საჭიროებას.

მიზან-პირობითობის ვადმოსაცემად II თურმეობითის გამოყენება ძველ ქართულშივე გავრცელებული მოვლენაა, ოღონდ. ამ შემთხვევაში ეს ნაკვეთი -მცა ნაწილაკთან ერთად იხმარება. -მცა ნაწი-

სტრუქციად აღიქმება, სხვაგან — რთული წინადადების კონსტრუქციად. ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია საილუსტრაციოდ მოხმობილი აღნიშნული წინადადება. არა სცილობ მომცე — ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციად არის გააზრებული, მაგრამ იგივე მომცე ასეთსავე პოტენციას აქვდაღვენებს მოგელაპარაკო-სთან მიმართებაში: საშუალება მომცე მოგელაპარაკო=საშუალება მომცე მოლაპარაკებისა. ისე რომ, აუცილებელია ერთნაირი ანდა მსგავსი სტრუქტურულ-სემანტიკური შესაძლებლობის მქონე ზმნების წინადადებაში სხვადასხვაგვარი რეალიზაციის პირობების ყოველმხრივი შესწავლა, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მრავალ საინტერესო გრამატიკულსა თუ პუნქტუაციურ საკითხთან, მაგრამ ეს ჩვენს ამჟამინდელ მიზნებს სცილდება.

3 ამასთან დაკავშირებით იხ.: ე. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966; შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, თბ., 1966; ა. რ. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: ივე, VII, თბ., 1955; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: ივე, XII, 1960; დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში თბ., 1972; ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986; ლ. გეგუჩიაძე, დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1974 და სხვ.

ლაკის ფუნქცია კი ცნობილია, — თხრობითის ნაკვეთებს იგი კავშირებითის ნაკვეთთა ფუნქციას ანიჭებს. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კავშირებითის ნაკვეთებით ძველ ქართულში შეიძლება იყოს არა მხოლოდ კავშირებითის კილოური შინაარსის, არამედ მომავალი დროის გადმოცემაც, მაშინ ვასაგები ხდება, რომ II თურმეობითის მონაწილეობა აღნიშნულ კონსტრუქციაში დაკავშირებული უნდა იყოს ერთ-ერთ ამ შინაარსთან, რამდენადაც -მცა ნაწილაკის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ მისი ფუნქცია ცალკეულმა კონსტრუქციებმა მაინც შეინარჩუნეს.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მთავარი მაინც ალბათ ის იყო, რომ -მცა-ს ფუნქციის გაქრობა ერთბაშად არ მომხდარა, — პროცესი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა; მართებულად აგებული შესიტყვებების გვერდით (I. -მცა+II თურმეობითი, 2. უნაწილაკო კავშირებითი) იყო უმართებულოც, ძველი ქართულის ნორმის დარღვევით შედგენილი კონსტრუქციები (1. -მცა+კავშირებითი, 2. უნაწილაკო II თურმეობითი). მათ პარალელურ არსებობას უდავოდ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ შესიტყვებათა უმრავლესობას საკმაოდ ნათლად გამოკვეთილი კონსტრუქცია ჰქონდა და ამ კონსტრუქციათა ერთნაირი სინტაქსი, ერთი და იგივე ნაწილაკ-მორფემოდები, ზმნათა განსაზღვრული დროული თანამიმდევრობა, ერთნაირი მისათითებელი სიტყვები, წყვერ-კავშირები... ზმნური ფორმის დროულსა და კილოურ შინაარს შესიტყვებაში ერთგვარად აბუნდოვანებდა, უკანა პლანზე სწევდა. ამ ფუნქციას თითქოს მთელი კონსტრუქცია „იწოვდა“ და ამგვარად II თურმეობითი (თუ ასეთ მყარ კონსტრუქციაში გამოყენებული თხრობითი კილოს სხვა ნაკვეთი) -მცა ნაწილაკის გარეშეც იმას გამოხატავდა, რასაც -მცა-სთან ერთად.

ნიშანდობლივია, რომ იმ კონსტრუქციათა უმრავლესობაში, რომლებშიც დღეს II თურმეობითი და III კავშირებითი ერთმანეთის პარალელურად, ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან (ვთქვათ, ასეთში: „იმ დღეს ისეთ გუნებაზედ დავდექი, თითქოს ნამდვილი ფაშისტი გამესტუმრებინა [შეიძლება იყოს შეგვხვედროდა აგრეთვე: გამესტუმრებინოს] სიქიოში“, — „ლიტ. საქ.“, ან: „მისთანა აჯანყება არ ყოფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ეხმაროს [შეიძლება იყოს აგრეთვე: ეხმარა]“, — აკაკი), ძველ ქართულში -მცა-ნაწილაკიანი II თურმეობითი ქარბობდა; ეგვე კონსტრუქცია ჩანს უფრო აქტიური კავშირებითიანთან შედარებით ძველი ქართულის მიზნის გარემოებითა და პირობით წინადადებებშიც, რომლებშიც თანამედროვე ქართულში უნაწილაკო II თურმეობითი დამკვიდრდა.

მიზნის მოდალობის გადმოსაცემად ძველ ქართულში ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე ინფინიტივის თავისებური სახეობა, — ვი-

თარგებით ბრუნვაში დასმული მასდარი („დაჯდა წერად“, „წარემართა ლოცვად“). ეს კონსტრუქცია ამ ფუნქციით შეიძლება შეგვხვედროდა ყველა იმ ზმნასთან, რომელიც სემანტიკურად მიზნის გარემოებას ივუბნება⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნის გარემოების ფუნქციით გამოყენებული ვითარებით ბრუნვიანი მასდარი მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გამოხატავს. იგივე დროული შინაარსი აქვს მის მაშინაც, როცა დამატების ფუნქციით გამოდის⁵. როგორც ვარაუდობენ, მომავლის ეს სემანტიკა დაკავშირებულია სწორედ ვითარებით ბრუნვასთან⁶. ეს გარემოება ვასაგებს ხდის ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ფართო გამოყენებას იმ შემთხვევებში, როდესაც ორი მოქმედების უწინარესობა-შემდგომადობაა გადმოსაცემი, როდესაც მომავალში, შემდგომ შესასრულებელი მოქმედება აღინიშნება. შესასრულებელ მოქმედებას კი ბუნებრივად და ძალიან ადვილად უკავშირდება სასურველობის, შესაძლებლობის სემანტიკა, რაც განსაზღვრავს ინფინიტიურ კონსტრუქციაში მოდალური შინაარსის ზმნათა მიზიდვას.

საყურადღებოა, ისიც, რომ ინფინიტივთან თუ ინფინიტივის ფუნქციის მქონე სიტყვებთან დაკავშირებული ზმნები ხშირ შემთხვევაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ (თუმცა ფორმალურად ინფინიტივი მათზეა დამოკიდებული). ინფინიტივით გამოხატულ ძირითად მოქმედებას ისინი მხოლოდ დამატებით ნიუანსს მატებენ და, ამდენად, მათ უჩნდებათ მეშველ ზმნად ქცევის ტენდენცია⁷.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებას გვაძლევს ზოგიერთი დამხმარე ზმნის გენეზისის გათვალისწინება. მათი ნაწილი მოდალური სიტყვებისაგან მომდინარეობს, მაგრამ მოდალურობის სემანტიკა უკვე გაცვეთილი აქვთ. გერმანულში აწმყო დროის გამოხატველ ზმნას wollen (=хотеть, желать) ინფინიტივთან შეხამებისას მოდალური მნიშვნელობა ფაქტობრივად დაკარგული აქვს და ძირითადად გამოხატავს პროცესის დამოკიდებულებას დროის მონაკვეთთან (მომავალ დროს). Wollen აქ გამოდის დროის დამხმარე ზმნის ფუნქციით, ხოლო მთელი გამოთქმა შეიძლება განიშარტოს, როგორც მომავალი დროის განსაკუთრებული ანალიზური კონსტრუქცია⁸.

4 დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

5 იქვე, გვ. 65.

6 თ. შარაძენიძე, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელს ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 431—432.

7 დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

⁸ М. М. Г у х м а н, Глагольные аналитические конструкции, как особый тип сочетаний частичного и полного слова (на материале истории немецкого языка): Вопросы грамматического строя, М., 1955, гв. 360.

შორს რომ არ წავიდეთ, მსგავსი ვითარება შენიშნულია ძველ ქართულშიც. აქ უნდააზიის სახელწოდებით გამოყოფენ ზმნურ ფორმათა ჯგუფს, რომელიც შედგენილია არს ზმნითა და ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარით. აღნიშნული შესიტყვებით გამოიხატება სამომავლო მოქმედება (რომელიც მოხდება ან უნდა მომხდარიყო). ასეთმა ფორმებმა ზოგ შემთხვევაში შეიძლება მყოფადის მაგივრობაც გასწიოსო⁹.

თუკი ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის დროული სემანტიკა მომავალს უკავშირდება, მით უფრო ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ძველი ქართულის ინფინიტიური კონსტრუქციის მონაცვლე შესიტყვებაში კავშირებითის ნაკვთთა გამოყენება. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარისა და კავშირებითის ნაკვთის ფუნქცია აქ ერთნაირია, — აღნიშნავს სამომავლო მოქმედებას.

მას შემდეგ (XI—XII საუკუნეებიდან), რაც ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი თანდათან გამოვიდა ხმარებიდან, მისი ადგილი დაიკავა ძველ ქართულშივე არსებულმა მონაცვლე ოდენობებმა¹⁰. ამასთან, იქ, სადაც მოქმედებათა უწინარესობა-შემდგომადობის აღნიშვნას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, კვლავ მხოლოდ მომავლის სემანტიკასთან დაკავშირებული ფორმები გვხვდება. კერძოდ, მიზნის მოძალობის გადმოსაცემად გააქტიურდა, ერთის მხრივ, მოშველის მიმღობა ვითარებით ბრუნვაში („დაჯდა საწერად“)¹¹ და, მეორეს მხრივ, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია II კავშირებითისა და II თურმეობითის ნაკვთებით.

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითის ნაკვთთა გამოყენება სემანტიკურად ორი ფაქტორით უნდა იყოს შეპირობებული: ა) მიზანი, როგორც მისაღწევი, შესასრულებელი მოქმედება, შეიცავს მომავალი დროის შინაარსს, რომლის გამოხატვაც კავშირებითის ნაკვთებისა და -მცა-ნაწილაკიანი კონსტრუქციისათვის ორგანული ფუნქცია იყო; ბ) გასათვალისწინებელია მიზნის მოძალობის სუბიექტური შინაარსიც, რამდენადაც „მიზანი ახასიათებს არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ სუბიექტსაც, კერძოდ, მის სურვილს“¹²: წავიდა (მიდის), რათა დასაჯოს, გააკეთოს, დახა-

9 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 135.

10 დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

11 შესაძლოა, ამ ფუნქციით მომავლის მიმღობის გააქტიურება დაკავშირებული იყოს სწორედ მისი დროული, მომავლის მნიშვნელობის გამოხატვის მეტ შესაძლებლობასთან (ფორმოზობიერ თვალსაზრისით).

¹² Ю. Д. Апресян, Лексическая семантика: Синонимические средства языка, М., 1974, гв. 342.

ტოს... ტიპის შესიტყვებაში მიზნად დასახული მოქმედება სუბიექტის სურვილს, მის გადაწყვეტილებას ასახავს.

შესაძლოა, ამასთან იყოს დაკავშირებული ამ გამიზნული მოქმედების ერთგვარად „გასუბსტანტივებული“ სახით წარმოდგენის შესაძლებლობა, — ძველი ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი („წარემართა დასჯად“) ან ახალ ქართულში ფართოდ გავრცელებული (და ძველ ქართულშიც არსებული) მყოფადის მიმღობა აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში („წავიდა დასასჯელად“). და სწორედ იმის გამო, რომ მიზნის მოდალობის გადმოსაცემად გამოყენებული კავშირებითის ნაკვთები მოქმედებას გადმოსცემენ არა როგორც პროცესს ანდა მდგომარეობას, არამედ როგორც სურვილს, გადაწყვეტილებას, მათ მეტი სემანტიკური სიხლოვე აქვთ უპირო ზმნებთან, ვიდრე პირიანებთან. ევროპულ ენებშიც მათი შესატყვისი არის ზმნის უპირო ფორმა—ინფინიტივი (Он пошел, Чтoбы! наказать, He went to punish).

ევროპული ენების ინფინიტივს შეესაბამება აგრეთვე თანამედროვე ქართულში ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციად წოდებულ შესიტყვებათა ის კომპონენტი, რომელიც კავშირებითის ერთ-ერთი ნაკვთით (ძირითადად II კავშირებითისა; დასტურდება აგრეთვე აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები) ან II თურმეობითით არის წარმოდგენილი. აქაც II თურმეობითი კავშირებითის ნაკვთთა რიგში განიხილება.

ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციები ფორმოზრივი თვალსაზრისით არსებითად განსხვავდება ძველი ქართულის ინფინიტივისაგან. ზმნისა და მასდარის ნაცვლად აქ შესიტყვების ღერძს ქმნის ორი პირიანი ზმნა. ფუნქციური თვალსაზრისით გარკვეული მსგავსებაა, რამდენადაც ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის მეორე შემადგენელი წევრი, რომელიმე კავშირებითის ან II თურმეობითის ნაკვთით წარმოდგენილი, ძველი ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის მსგავსად, გამოდის ქვემდებარისა და სხვადასხვა სახის დამატებათა ფუნქციით. მაგ.: „ბედნიერ სულთანს ამჟამად არ ძალუძდა ყურადღება ჩრდილო საზღვრებისათვის მოეპყრო და ქართველთა ქვეყანაში თავისი განუყოფელი გავლენის ბედი იარაღის ძალით გადაეწყვიტა“ (რ. ჯაფ.). ხაზგასმულ შესიტყვებაში მოეპყრო და გადაეწყვიტა მასდარის (ინფინიტივის) ფუნქციით იხმარება და ქვემდებარის როლს ასრულებს: არ ძალუძდა მოეპყრობა და... გადაეწყვიტა.

ზმნის ამგვარი პირიანი ფორმა შედარებით იშვიათად გვხვდება მიზნის გარემოების ფუნქციით. მაგ.: „მზად იყო ჯოჯოდ ქცეულიყო, ობობად, და სამუდამოდ შემძვრალიყო კედლის ბზარში“ (ო. ქილ.).

რისთვის იყო მზად? — რომ ჯოჯოდ ქცეულიყო. მიზნის მოძალობის შინაარსი აწყარაა.

რთული წინადადების კონსტრუქციასთან ერთად დღეისათვის ძალზე გავრცელებულია მიმღეობური კონსტრუქცია, რომელიც ფაქტობრივ ძველი ქართულის მასდარული კონსტრუქციის ანალოგიური ოდენობაა მაგ., „ბებია მილარიონის ტანსაცმელი იქავე აივანზე გაიდა გახშრობად“ (ნ. დუმბ.).

ისევე, როგორც მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა შემთხვევაში, ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის მეორე ზმნური წევრი ფუნქციურად უპირო ზმნის, ევროპული ინფინიტივის მსგავსი ოდენობაა. **გთხოვთ გამათავისუფლოთ — გთხოვთ განათავისუფლებას; გადაწყვიტა წასულიყო — გადაწყვიტა წასვლა.**

ხაზგასმულ ფორმათა დროული შინაარსი მომავალს გულისხმობს. ეს მომავალი ზოგ შემთხვევაში აბსოლუტურია, ზოგში კი — რელატიური: თუ ფორმა II კავშირებითის ნაკვეთითაა წარმოდგენილი, მოქმედების შესრულება საუბრის შემდეგ ივარაუდება; თუ II თურმეობითის ნაკვეთი გვაქვს, მაშინ იგი მომავალ დროს გამოხატავს წინა მოქმედებასთან შეფარდებით.

ვიფიქრობთ, ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს აღნიშნულ ფორმათა კილოური თვალსაზრისით დახასიათებისას. ინფინიტივის მონაცვლე, მისი ფუნქციით მოქმედ ზმნურ ფორმაში თუკი რაიმე კილოური შინაარსი შეიძლება ვეძებოთ, ეს ისევე ნეიტრალური, ე. ი. თბრობითის კილოური შინაარსი უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ კონსტრუქციაში კავშირებითის ნაკვეთი მონაწილეობენ, ამ ფორმათა დროულ შესაძლებლობაზე მიუთითებს და არა კილოურზე. ამ მხრივ ნიშანდობლივად უნდა ჩაითვალოს ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებში კავშირებითის ნაკვეთის ადგილას მყოფადის დადასტურებაც. შდრ.: „დაგვირდნენ სადღაც საცეკვაო საღამოზე წაგიყვანთო, მაგრამ მე აღარ წამიყვანეს“ (ნ. ლორთქ.). **დაგვირდნენ წაგიყვანთო — დაგვირდნენ წაყვანას.**

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მიზნის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითის ნაკვეთი და **-მცა-**ნაწილაკიანი თბრობითი კილოს ნაკვეთი იმთავითვე (და, ცხადია, ახლაც), სწორედ მომავალ დროს აღნიშნავდნენ და არა კავშირებითი კილოს შინაარსს. მართლაც, რთულ წინადადებაში — **წავიდა, რათა დასაჯოს** — მთავარი წინადადების სუბიექტისათვის ვილაცის დასჯა, დასასჯელად წასვლა მისი სურვილია, გადაწყვეტილება, მიზანი; მოსაუბრისათვის კი ეს მოქმედება (დასჯა) რეალური ფაქტია, მომავალში მოსახდენი — ისეთივე რეალობა, როგორსაც **დასჯის** ფორმა გადმოგვცემს. შდრ.: **წავიდა და დასჯის.**

ყურადღებას იმსახურებს ეს უკანასკნელი კონსტრუქციაც. შემსმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებათა ერთი ჯგუფისათვის ზმნათა დროული თანამიმდევრობა გარკვეულწილად მიზნობრივი დაქვემდებარებისაა, პირველი მოქმედება ერთგვარი პირობა და მოსამზადებელი ეტაპია მეორე მოქმედებისათვის. წავიდა და დასჯის — სტრუქტურულად შერწყმული წინადადებაა, მაგრამ სემანტიკურად ეს ორი ზმნა ერთმანეთთან მიზან-შედევობრივად, მთავრისა და მასზე დამოკიდებულის ურთიერთობას ეარაუდობს. ამ თვალსაზრისით აღნიშნული კონსტრუქცია მიზნის მოძალობის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. საინტერესოა, რომ ზმნურ ფორმათა შეფარდება კვლავ იმგვარია, რომ მეორე ზმნა აუცილებლად მომდევნო მოქმედებას გამოხატავს, — იგი ან მყოფადის ფორმაა, ან II კავშირებითის, ანდა II თურმეობითისა. მაგალითად:

ეპისკოპოსი ...პირველი უნდა ხლებოდა ფაშას და სლომონთან მომავალი შეხვედრისათვის ნიადაგი მოემზადებინა (რ. ჯაფ.).

(ეპისკოპოსის ფაშასთან ხლების მიზანი მომავალი შეხვედრის მომზადება!).

გულქერდი ამ მოხუც ქალს, მინდოდა წამოვმხტარიყავი, ჩამეკრა გულში, დამეკოცნა, დამეშვიდებინა (ნ. დუმბ.).

(= წამოხტომის მიზანია მოხუცი ქალის გულში ჩაკვრა, დაკოცნა, დამშვიდება);

ზურიკო მოკრფვს თავის გულა-ნაბადს, აიღებს ბილეთს და წავა სოფელში თავის ბებიასთან და მერისთან (ნ. დუმბ.).

(= ზურიკოსაგან გულა-ნაბადის აკრეფა და ბილეთის აღება უნდა მოხდეს სოფელში წასასვლელად, ამ მიზნით).

ასე რომ, ორი მოქმედების მიზან-პირობითი თვალსაზრისით დაკავშირება ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დროის რაიმე მონაკვეთისათვის შესასრულებელი, სამომავლოდ განზრახული სურვილი თუ შესაძლებლობა იმგვარ ირეალობად დავსახოთ, რა შინაარსსაც, ჩვეულებრივ, კავშირებითი კილოს სემანტიკაში დებენ. თუკი მყოფადის ნაკვეთის თხრობითი კილოს ფორმად კვალიფიკაციისათვის დაბრკოლებად არ ითვლება მოქმედების მიმართულება მომავლისაკენ და, ამდენად, მისი შესასრულებელ-შესაძლებელი ზასიათი, მაშინ ალბათ ასევე უნდა შეფასდეს მომავალი დროის გამოხატველი ყველა იმ ზმნური ფორმის კილოური მნიშვნელობაც, რომლებიც ისეთსავე მიმართებას გამოხატავენ მოსაუბრესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, როგორსაც მყოფადის შემთხვევაში.

მაშასადამე, მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებსა და ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციაში II თურმეობითი, შესაძლოა, მართლაც კავშირებითის ფუნქციით იხმარება, მაგრამ ეს ფუნქცია კავშირებითის ნაკვთთა უძველეს ფუნქციას — მომავალი დროის აღნიშვნას უნდა უკავშირდებოდეს და არა კავშირებითი კილოს შინაარსის გადმოცემას.